საკვანძო სიტყვები: სითხის შემწოვი საშუალებები

ტერმინი	განსაზღვრება	სურათი
შემწოვი ქსოვილი	ქსოვილი, რომელსაც შეუძლია შეიწოვოს და შეაკავოს სითხე მარტივად.	
ყაბზობა	ნაწლავის არარეგულარული დაცლა ან ჭინთვა მყარი, მშრალი კონსისტენციის განავლის გამოსადევნად.	
შარდის და/ან განავლის შეგროვება	შეუკავებლობისას შარდის ან განავლის ტანსაცმელზე ან სხვა ზედაპირზე (მაგალითად, საწოლზე ან სკამზე) გაჟონვის პრევენცია.	
შეკავების უნარი	შარდის ბუშტისa და ნაწლავის დაცლის ნებითი კონტროლი სოციალურად მისაღებ ადგილას. შესაძლებელია აღიწეროს, როგორც ტუალეტით წარმატებით სარგებლობა.	
შეკავების უნარის მართვა	შეუკავებლობის მქონე ადამიანისათვის ტუალეტში სიარულის პროცესის დაგეგმვა უსაფრთხოდ, ეფექტურად და საკუთარი ღირსების შეგრძნებით.	
დიარეა	თხევად განავალზე ხშირი გასვლა.	
შეუკავებლობა	როდესაც ადამიანს არ შეუძლია ან უჭირს, საკუთარი ნებით გააკონტროლოს შარდის ბუშტის (შარდის შეუკავებლობა) ან ნაწლავის (განავლის შეუკავებლობა) დაცლის პროცესი.	
მენოპაუზა	ქალის ცხოვრების პერიოდი (როგორც წესი 45-დან 50 წლამდე შუალედში), როდესაც სისხლდენა, როგორც თვიური ციკლის შემადგენელი ნაწილი, წყდება.	
ნერვები	ნერვები წარმოადგენს იმ სისტემის ნაწილს, რომელიც პასუხისმგებელია სხეულის სხვადასხვა ნაწილებს შორის ინფორმაციის გაგზავნასა და მიღებაზე.	
ნაწოლი	ნაწოლი წარმოადგენს კანის მთლიანობის დარღვევას. ის ძირითადად აღინიშნება ძვლიან უბანზე და გავრცელებული პრობლემაა შეგრძნებასთან (მგრძნობელობასთან) ან გადაადგილებასა და პოზიციის შეცვლასთან დაკავშირებული პრობლემების დროს.	
პროსტატის ჯირკვალი	პროსტატის ჯირკვალი მდებარეობს მამაკაცის შარდის ბუშტის ქვეშ. ის გარს ერტყმის შარდსადენს და ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ზომაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შეუკავებლობა.	

ტერმინი	განსაზღვრება	სურათი
გამონაყარი	რეაქცია კანის გაღიზიანებაზე, რომელიც ვლინდება მუქი (მუქი ფერის კანზე) ან წითელი ფერის (ღია ფერის კანზე) ლაქების ან ბურცობების სახით.	
თავის მოვლა	თავის მოვლა გულისხმობს საკუთარ თავზე ზრუნვას. ამ აქტივობებს ადამიანი ახორციელებს ყოველდღე, საკუთარი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად, დაბანა, ტუალეტით სარგებლობა, ჩაცმა, საკვებისა და სასმლის მიღება.	
ერთჯერადი	შექმნილია იმისათვის, რომ გადაიყაროს ერთი გამოყენების შემდეგ.	
განავალი	ტერმინი, რომელიც გამოიყენება ნაწლავში დაგროვილი მონელების ნარჩენების აღსაწერად. გავრცელებული სახელწოდებებია: ა-ა, კუკი, ყაყა.	
შარდსადენი	შარდსადენი წარმოადგენს საშარდე სისტემის ნაწილს. შარდი შარდის ბუშტიდან გარეთ გამოიყოფა შარდსადენის გავლით.	
შარდი	ტერმინი, რომელიც აღწერს შარდის ბუშტში დაგროვილ სითხეს. გავრცელებულ სახელწოდებებს შორისაა: ფისი, ფსელი.	
საშარდე სისტემა	ტერმინი, რომელიც აღწერს სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთობლივ მუშაობას სისხლიდან ნარჩენებისა და ჭარბი წყლის გასაფილტრად და შარდის სახით გამოსადევნად.	